

თარღ ბავიავვილი

ვავინსყაოსნავ ნასაკითხი დავთიავინს
თავინსავი

თავილილი
1956

რექტორი ვ. გორგაძე

უე02725.

ტირაჟი 1000.

შეკვეთა № 102.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და
პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

წინასიტყვაობის მაგიერ

ამ წერილში მოცემულია მითითებანი — რა თემაზე შეიძლება წაკითხულ იქნას ლექცია რუსთაველის და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო. თეზისების სახით ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა დალაგდეს ლექციაში საკითხები, რომლებიც ლექციის დროს გაიშლება, შესაფერისად დასაბუთდება და პოემის ტექსტიდან მოყვანილი ილუსტრაციებით დამშვენდება.

საშუალო საუკუნეების სახელოვანი პოეტის და დიდი მოაზროვნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არასოდეს არა ყოფილა ისე ღრმად დაფასებული და გაგებული, როგორც დღეს, ჩვენს დიად ეპოქაში.

„ვეფხისტყაოსანი“ დღეს მარტო ქართველი მკითხველისთვის კი არ არის საინტერესო, ან პოემის საკითხები მარტო ქართული კულტურის ისტორიისათვის კი არ არის საყურადღებო; ამ დიდებულმა პოემამ გადალახა ეროვნული ინტერესების საზღვარი და მსოფლიო კულტურის საგანძურად იქცა.

დღეს ყველასათვის საყურადღებოა საკითხები: რუსთაველის ეპოქა, გმირები, მსოფლმხედველობა, ესთეტიკური შეხედულებანი, პოეტიკა, ხალხურ პოეტურ შემოქმედებასთან დამოკიდებულება, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორია, პოემის გავლენა შემდეგ დროინდელ ლიტერატურაზე და სხვ.

ლექციები რუსთაველის გარშემო ყურადღებით ტარდება ყოველთვის და ყოველ წრეში. ამ წერილში მოცემულია შესაძლებელი ლექციების მხოლოდ სქემა, თეზისების სახით. მარტო აქ დასახელებული პრობლემებით არ ამოიწურება ლექციები რუსთაველისა და მისი პოემის გარშემო. კიდევ მრავალი საკითხი შეიძლება გახდეს ლექციის თემა, მაგალითად, რუსთაველის ბიოგრაფია.

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობა, „ვეფხისტყაოსნის“ საკაცობრიო მნიშვნელობა, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები, გამოცემები და მრავალი სხვა.

ამ წერილში გამოყენებულია „ვეფხისტყაოსანზე“ არსებული მთავარი ლიტერატურა. ლექტორს შეუძლია თავის შეხედულებით გამოიყენოს რუსთაველზე ქართულ თუ სხვა ენაზე არსებული უამრავი მასალა და თავისებურად დააღაგოს იგი.

I ლექცია

ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-ლიტერატურული მნიშვნელობა

თ ე ზ ი ს ე ბ ი

1. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის დიდი სულიერი კულტურის გვირგვინია. ამ ნაწარმოების მსგავსი მხატვრული ძეგლი ცოცხალი მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში, გენიალური შოთა რუსთაველის შემოქმედებამ ღირსეული ადგილი დაიკურა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა შორის. „ვეფხისტყაოსანი“ შევიდა მსოფლიო კულტურათა საგანძურში, როგორც „ხელისხელ საგოგმანები მარგალიტი“. შოთა რუსთაველის უკნობი შემოქმედება მთელი პროგრესული კაცობრიობის, პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირის ხალხების საკუთრებაა.

2. შოთა რუსთაველის როლი და გავლენა ქართულ კულტურის ისტორიაში განუზომლად დიდია. ეამთა დენამ და მწარე ისტორიულმა წარსულმა ვერ შეანელა „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული და გავლენა. ეს „წყობილი მარგალიტი“, მიუხედავად ზოგჯერ დევნისა, ზოგჯერ გადაკეთება-დამახინჯებისა (ინტერპოლაციისა), თაობიდან თაობაზე გადადიოდა, როგორც უძვირფასესი განძი და მოქმედების სახელმძღვანელო. შოთა რუსთაველის ოპტიმისტური შეხედულებანი და საბრძოლო მოწოდებანი, მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ იწვევდა ომში წასულთ.

3. შოთა რუსთაველის პოეზია მზიური ცხოვრების, ბედნიერი სიცოცხლის პოეზიაა. შოთა უმღერის და ხოტბას ასხამს ადამიანის სიცოცხლეს, მაგრამ ეს სიცოცხლე და ცხოვრება, პოეტის აზრით, სახელოვანი უნდა იყოს: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ (სტროფი 800)¹. სახელოვანი და ბედნიერი სიცოცხლის მოპოვება კი ბრძოლით არის შესაძლებელი. ამიტო-

¹ სტროფები ყოველგან ნაჩვენებია „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემის მიხედვით. გამოც. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა.

მაცაა, რომ რუსთაველის მუდამ მგზნებარე გმირები ტარიელი და აეთანდრელი ყოველთვის იბრძვიან, ბედნიერი მოწაველისავენ გზას მხოლოდ სიმამაცითა და გმირობით იკაფავენ.

4. რუსთაველის ეს ღირსშესანიშნავი მოტივი, რომელიც წარმოადგენს პოემის ლეიტმოტივს, ყველაზე უფრო გულისხმიერი და ახლომყოფია ჩვენი დროის, სოციალიზმის ეპოქის ადამიანებისათვის, სადაც განთავისუფლებული შრომა და სოციალისტური სამშობლოს დაცვა იმპერიალისტურ მტაცებელთა ხროვისაგან თვითეული მოქალაქის, საბჭოთა ადამიანის წმინდათა წმინდა მოვალეობას შეადგენს.

5. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენი დროისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გენიალური პოეტი გვევლინება ჩვენ დიდი თანამედროვის სახით, რომლის პოეზიის ჩვენთვის „ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობა“ აქვს, როგორც მარქსი ამბობდა ჰომეროსის მიმართ. საბჭოთა მკითხველთათვის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ისეთ წიგნს, რომლისგანაც ის ისწავლის და გაეცნობა უქკნობი მეგობრობისა და სიყვარულის საკაცობრიო ტიპებს.

6. შოთა რუსთაველს მეგობრობა არ ესმის ვიწროდ. მისთვის მეგობრობას ღრმა ჰუმანური და საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. დიდ პოეტს მეგობართა წრეში შეჰყავს არა მარტო ერთი ერის წარმომადგენლები. რუსთაველისათვის არ არსებობს ნაციონალური შეზღუდულობა. პოეტის ოცნებაა, რომ მისი ჰანგები, მისი სიმღერა მისწვდეს ყველას, რომ მას უსმენდნენ: „ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი“, რომ მისი ამაღლებული სიმღერით დასტკბნენ: „რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“ (სტრ. 968).

7. შოთა რუსთაველის შემოქმედება ნრავალმხრივ არის დაკავშირებული თავისი ხალხის წარსულთან და მის შემოქმედებასთან. ღრმა ფილოსოფიური განათლების მქონე პოეტმა, რომელიც კარგად იცნობდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხელოვნებას, მწერლობას, ფილოსოფიას და რელიგიას, გენიალურად განსკვრიტა თავისი ეპოქის ისტორიული მოვლენები და მათი პოეტური გაანალიზების, განსახიერების საფუძველზე მოგვცა უქვედავი პოემა-რომანი, პოეტისავე სიტყვით „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“. (სტრ. 7).

8. შოთა რუსთაველი თავისი ეპოქის უდიდესი წარმომადგენელია. კლასიკური პერიოდის ქართული სინამდვილის ნიადაგზე მან შექმნა პოემა, რომელშიაც რამდენიმე საუკუნით ადრე აისახა დასავლეთ-ევროპული რენესანსის ჰუმანური იდეები და კეთილშობილური მისწრაფებანი. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანს“ საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ქართველმა პოეტმა XII საუკუნის პირობებში, რელიგიურ-მისტიკური აზროვნებისა და ბნელეთის მოციქულთა საყოველთაო ბატონობის პირობებში ბუმბერაზული პოეტური ხმით უმღერა გრძნობის თავისუფლებას, ადამიანის ამქვეყნიურ მატერიალურ ცხოვრებას, უმღერა ამალღებულ ადამიანურ სიყვარულს. ადამიანთა მაღალეთიკურ სამქვეყნიო იდეალებს. ხალხთა და ქვეყანათა ურთიერთმტრობისა და გაუთავებელ შუღლის პირობებში რუსთაველმა უმღერა ხალხთა ძმობასა და თანამეგობრობას, ხალხთა ურთიერთ სიყვარულსა და კეთილმეზობლურ თანამშრომლობას.

9. რუსთაველის შეუღარებელი, პირდაპირ ვირტუოზული ლექსი, ლექსის თქმის, მელექსეობის ტექნიკა, სალიტერატურო ენის სასაუბროსთან დაახლოვების უნარი ყოველთვის და ყველასათვის შეინარჩუნებს ნორმისა და ნიმუშის მნიშვნელობას.

* * *

შენიშვნა. „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის შესახებ საჯარო ლექციები შეიძლება რამდენიმე თემად იქნას წაკითხული. „ვეფხისტყაოსნის“ თვითეული პრობლემა შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკე ლექციის თემად და ლექტორიც მას ვრცლად განიხილავს. შეიძლება რამდენიმე პრობლემა გახდეს ერთი ლექციის საგნად. შეიძლება ყველა პრობლემა გაერთიანდეს ერთ ლექციად. თვითეულ შემთხვევაში ლექტორი ყოველ პრობლემას ვრცლად ან მოკლედ შეეხება, რასაკვირველია, ყოველთვის დაიცავს მთავარ იდეას.

II ლექსია

ვეფხისტყაოსნის ავტორი

- ლექციის გეგმა: 1. სახელი და სახელწოდება: რუსთველი, შოთა რუსთაველი, ვინმე მესხი.
2. წარმოშობა: ჰერეთელობა, მესხობა.
3. ცხოვრების დრო და პოემის დაწერის თარიღი: ავტორის ეპოქა XII საუკუნის ბოლო და XIII საუკ. დასაწყისი.

თეზისები:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის თაობაზე, ისე როგორც პოემის სხვა ძირითად ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე, დაწვრილებითი ცნობები მხატვრულ ან საისტორიო მწერლობაში არ მოგვეპოვება. აღრინდელსა და სანდო ცნობებს გვაწვდის თვით პოემის პროლოგი და ეპილოგი. აქ რუსთაველის სახელი ოთხჯერ არის მოხსენებული:

პროლოგში: „დაეჯე, რუსთველმან გავლექსე,
მისთვის გულ-ლახვარ-სობილი“ (სტრ. 7).

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ
საქმესა ამა დარი“ (სტრ. 8).

ეპილოგში: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე
მე რუსთველისად ამისა“ (სტრ. 1665).

„ტარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის
კრემლ-შეუშრომელსა“ (სტრ. 1669).

მაშასადამე, პროლოგ-ეპილოგის მოწმობით „ვეფხისტყაოსანი“ შეუთხზავს რუსთაველს.

2. მთელი ძველი ქართული მწერლობა XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად თელის შოთა რუსთაველს. პირველ ლიტერატურულ ცნობას რუსთაველის შესახებ

გვაწვდის XV საუკ. გასულის და XVI საუკ. პირველი ნახევრის მცხოვრები პოეტი სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი, რომელიც თავის გალექსილ „როსტომიანის“ ერთ თავში ამბობს:

„ნაძლევე ვარ რუსთველთაწა, მეტი ექნა ჩემოდნობა“...

XVI—XVII საუკ. უცნობი მთარგმნელი „იოსებ ზილიხანიანისა“ ამბობს:

„მელექსენო, ნუ გგონიათ თავი „რუსთელის“ დასადარი“...

XVII საუკ. პოეტი, ავტორი „ომანიანისა“, ქაიხოსრო ომანი-შვილი—ჩოლოყაშვილი თავისი თხზულების პროლოგში აღნიშნავს:

„ტარიელისთვის რუსთველი მიწყევ ცრემლისა მღვრელია, მისთა ნათქვამთა მზგავესებით სმენას ნულარეინ ელია“...

XVII საუკ. პოეტი თეიმურაზ პირველი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსისა და პერსონაჟების გამო შენიშნავს:

„ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა“...

ხოლო თავისი ნიქის გადაქარბებულად დაფასებით და რუსთაველ-თან გატოლებით თეიმურაზი ამბობს:

„ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა, მაშინც რუსთველსა აქებენ, მე ამან გამაგულისა“...

XVII საუკ. პოეტი „ბარამგურციანის“ მთარგმნელი ნოდარ ციციშვილი რუსთაველსა თელის გარდაჟვალ და შეუღარბებელ პოეტად:

„რუსთველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა გონება, მისის ლექსების მკითხველსა სხვა რამცა მოეწონება“...

XVII საუკ. მწერალი მამუკა მდივანი თავის „ზაქიანში“ რუსთაველს სახელით იხსენიებს:

„შოთამ გალექსა ტარიას და აეთანდილის ქებანი“...

XVII საუკ. პოეტი ფეშანგი ფაშვიბერტყაძის თქმით:

„სიბრძნით საესემან რუსთველმან“ ნესტანის, ტარიელის, თინათინის და აეთანდილის ქებით „შეაერთა ტკბილ-ქართულად, სიტყვა მქვევოი ასად ასო“...

ყველაზე უხვ ცნობებს რუსთაველის შესახებ XVII საუკუნეში იძლევა პოეტი არჩილ მეფე, რომელიც „არჩილიანის“ ერთ ნაწილში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ანუ „თეიმურაზიანში“ აღარებს ერთმანეთს რუსთაველს და თეიმურაზ პირველს და ამბობს:

„ქართველთ ენითა მელექსე ვერ ეღარების ამ ორსა, რუსთველსა—ენა რიტორსა, მეფეს—ალვისა ნამორსა“...

არჩილის სიტყვით „რუსთველი სიბრძნის ტბა არის“, მისი აზრით პოეზია მხოლოდ რუსთაველის გზით არის შესაძლებელი:

„ვინ ვერ მიჰყევს რუსთველის თქმულსა, გარდმობრძანდეს ასე, აქეთ, მელექსობა არ შეშენის დააყენეთ მოსაბაქეთ“...

XVII საუკ. სხვა ავტორები იოსებ თბილელი, სულხან თანია-შვილი, იაკობ სამებელი-დუმბაძე და სხვ. განუსაზღვრელი თაყვანისცემით და მოწიწებით მოიხსენიებენ რუსთველს და მის გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“.

3. XVIII საუკუნის მწერლებს უფრო მეტი ცნობები შემოუნახავთ რუსთაველის შესახებ. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად ისინი ერთხმად რუსთველს აღიარებენ და პოემასაც მაღალ შეფასებას აძლევენ, ამ საუკუნის პოეტებს თეიმურაზ მეორეს, მამუკა ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს და სხვ. რუათაველი მიაჩნიათ პოეზიისა და სიტყვის უბადლო ოსტატად. „თუმცა რუსთაველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელი არ არისო“, ამბობს მამუკა ბარათაშვილი; დავით გურამიშვილის აღიარებით კი „ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და“...

ყველა ჩამოთვლილი მწერალი ემყარება მის დროს არსებულ ძველ ლიტერატურულ წყაროს. ამრიგად, ჩამოთვლილი ცნობებით დასტურდება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველია.

4. შოთა რუსთაველის ავტორობას, გარდა ჩამოთვლილი წერილობითი წყაროებისა, მხარს უჭერს ხალხური ზეპირი გადმოცემები, საქართველოს ყველა კუთხეში გაბნეული თქმულებები, და ლეგენდები შოთა რუსთაველზე. ამ მხრივ უფრო საყურადღებოა ახალციხის მხარეს მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებული ლეგენდები, რომელთა მიხედვითაც ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ არის შოთა რუსთაველი, რომელიც მესხეთის რუსთავის მცხოვრებია. ლეგენდების სიმრავლე და მათი ძველი წარმოშობა ამ ლეგენდებს აძლევს დოკუმენტის ხასიათს.

5. შოთა რუსთაველის სადაურობაზე ორი აზრი არსებობს. სიტყვის ფორმა რუსთაველ-ი აღნიშნავს, რომ შოთა ადგილ რუსთავიდანაა წარმოშობილი. საქართველოში უფრო ცნობილი ორი რუსთავი არსებობს. პირველი მესხეთის რუსთავია, მეორე — ჰერეთის ანუ ქვემო ქართლის რუსთავი, რომელიც შუა საუკუნეებში, მტრების მიერ განადგურებამდე, ქალაქი იყო და ბოსტანქალაქად იწოდებოდა (დღეს იქ ახალი ქალაქი რუსთავი შენდება). მას,

როგორც კულტურულ ცენტრს, მესხეთის რუსთავეზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი (თეიმურაზ ბატონიშვილი, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე და განსაკუთრებით პ. ინგოროყვა) ფიქრობს, რომ შოთა რუსთაველი ჰერეთის რუსთავიდან იყო და არა მესხეთისაო, მაგრამ ხალხური ზეპირსიტყვიერება (ზოგიერთი წერილობითი ცნობაც) ერთხმად შოთას თელის მესხეთის რუსთავიდან წარმოშობილად.

6. რუსთაველის საყოველთაოდ გავრცელებული ტრადიციული პორტრეტის დედანი შემონახული აქვს XVII საუკუნის ერთ ხელნაწერს. შოთა რუსთაველის პორტრეტის ეს პირი მომდინარეობს ძველი წყაროებიდან და ნდობას იმსახურებს.

7. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის გამოსარკვევად უნდა გამოვიყენოთ თვით პოემის პროლოგ-ეპილოგი. პროლოგის მე-3, 4 სტროფები და ეპილოგის 1666, 1667 სტროფები შეიცავენ თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქებას. ეს გვაძლევს პოემის დაწერის დათარიღების საშუალებას. „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაიწერებოდა ვერც თამარისა და დავით სოსლანის შეუღლებამდე (ე. ი. 1189 წლამდე) და ვერც დავითისა და თამარის გარდაცვალების შემდეგ (დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს, თამარი — 1213 წელს). „ვეფხისტყაოსანი“ შეთხზულია XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე, 1187—1207 წლების შუა.

8. რუსთაველის ცხოვრებას და შემოქმედებას თამარის დროს მხარს უჭერს ყველა მწერალი XV—XVIII საუკუნეებში. განსაკუთრებით დამტკიცებულად ლაპარაკობს ამის შესახებ XVIII საუკუნის დასაწყისში „ვეფხისტყაოსნის“ პირველი დამბეჭდავი სწავლული მეფე ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარიებში და შესავალ წერილში.

* * *

შენიშვნა. რუსთაველის ბიოგრაფიას ჩვენ არ ვიცნობთ. ჩადგან საქირო წყაროები არ გავაჩნია. პოეტის საკმაოდ დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები შემოუნახავს მესხურ-ჯავახურ წარმოშობის ხალხურ თქმულებებს. გადმოცემათა მიხედვით შოთა რუსთაველი იყო უბადლო ბრძენი, უდიდესი პოეტი, შესანიშნავი ფილოსოფოსი, ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე. იგივე გადმოცემები შეიცავენ ცნობებს პოეტის დაბადების ადგილის, მშობლებისა და ნათესავენის, აღზრდისა და სწავლის, მოგზაურობათა და შეხვედრების, საზოგადოებრივ

ფენათა და წოდებებთან დამოკიდებულებების და სხვათი შესახებ.

თუ ლექტორი ლექციის დროს გამოიყენებს ამ გადმოცემებს და ამათ შიხედვით ააგებს რუსთაველის ბიოგრაფიას, უხდა აღინიშნოს, რომ ეს თქმულებები ისტორიულ საბუთებით დადასტურებული არ არის და მათ ლეგენდარულ-ზღაპრული ხასიათი აქვთ.

III ლექცია

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობა

- ლექციის გეგმა: 1. პოემის ორიგინალობა, ხალხური ზეპირი პოეზიის და ძველი ქართული კულტურის კვალი პოემაში.
2. ლიტერატურულ ნაწარმოებთა კვალი პოემაში („აბდულმესია“, „თამარიანი“, „ამირან დარეჯანიანი“ სპარსული — „შაჰ-ნამე“, „ვისრამიანი“, „ლეილმეჯნუნიანი“).
3. ფილოსოფიური ლიტერატურის გავლენა: ანტიკური ფილოსოფოსები, ბიზანტია, ძველი აღმოსავლეთი.

თეზისები

1. უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით ნათელი გახდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია. ის ნასესხები არ არის არც სიუჟეტის და არც ჩონჩხის სახით. ის შექმნილია ქართულ ნიადაგზე იმდროინდელი ქართული სინამდვილის ასახვით. პოემა დაწერილია იმ დროს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა განვითარებამ მაღალ დონეს მიაღწია. მაშინდელი მსოფლიოს კულტურული მიღწევანი აზროვნების, პოლიტიკის, თუ ხელოვნების დარგში თავიდანვე პოულობდნენ გამოხატულებას ქართულ საზოგადოებრივ ყოფასა და ლიტერატურაში.

2. XI — XVII საუკუნეებში უამრავი თარგმნილი ფილოსოფიური ლიტერატურა, არქიტექტურული ნაგებობანი, მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები და ბოლოს თვით „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული მოწინავე იდეალი თავისუფალი და ჰუმანური პიროვნებისა, რომლითაც რუსთაველი ებრძოდა საშუალო საუკუნეთა

ნეტაფიზიკას, აზროვნების ბორკილებს, რელიგიურ ფანატიზმს და წოდებრივ კარჩაქეტილობას გვიჩვენებს, რომ რუსთაველი თავის დროის დასავლეთ ევროპის მოწინავე შემოქმედებზე მალა იდგა და ზოგიერთ შემთხვევაში, რამდენიმე საუკუნით დაასწრო კიდევ საშუალო საუკუნეების მოღვაწეთ ჰუმანიზმის ქადაგებაში.

3. არავითარი მეცნიერული ნიადაგი არა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ვარედან შემოსვლის ჰიპოთეზას. „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ნაწარმოებია, ის არ არის არათუ თარგმანი, ან გადმოკეთება, იქ არ არის გამოყენებული არც პროზაულად გავრცელებული და არც ხალხში არსებული მოარული სიუჟეტები, რადგან ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ნათელყო, რომ ასეთი ამბავი არ არსებობს და არც არსებობდა სპარსულ ან სხვა ერის ლიტერატურაში.

4. უსაფუძვლოა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ძიება ქართულ ხალხურ პოეზიაში, რადგან ყოველგვარ ეჭვს გარეშე დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ხალხური „ტარიელიანის“ სხვადასხვა ვარიანტი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ შოთა რუსთაველის დიდებული პოემის ხალხში ზეპირად გადასული ამბის ნაშთებს, რომელნიც შემდეგ მუშავდებოდნენ უკვე პოემიდან დამოუკიდებლად.

5. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის დამახასიათებელია ამბავის განვითარების დინამიკურობა, დაძაბულობა და დრამატიზმი. პოემის სიუჟეტური სიტუაციები ერთიმეორეს ენაცვლება თანამიმდევრულად და ბუნებრივად. ცენტრალური და პერიფერიული სიუჟეტური კვანძები მკიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ მთლიან უწყვეტელ რგოლს ჰქმნის. პოემის ასეთი კომპოზიციური აგებულება შედეგია პოეტის პირადი შემოქმედებისა და არა ხალხური თქმულებების ზეგავლენისა.

6. „ვეფხისტყაოსანი“ მკიდროდ არის დაკავშირებული ქართული აზროვნების მთელ ისტორიულ განვითარებასთან. პოემა ენობრივად, პოეტურად და, საერთოდ, შემოქმედებითი ტრადიციებით წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის განვითარებას. პოემაში დატულია ქართული კლასიკური ლიტერატურის ეპემიუტანელი ძეგლების („თამარიანი“, „აბდულმესია“, „ამირანდარეჯანიანი“, ქართული მატრიანები და სხვ.) საერთო სტილი, ენა და ლექსიკა. პოეტი კარგად იცნობს ამ ძეგლებს, რაც მტკიცდება მრავალი პარალელით და ამ ნაწარმოებთა აშკარა კვალით „ვეფხისტყაოსანში“.

პოეტი ზედმიწევნით იცნობს აგრეთვე ბიბლიას და ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს კიდევ მის აზრებსა და ციტატებს. პოეტი იცნობს აგრეთვე უცხოეთის ლიტერატურას (ფირდოუსის „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, ნიზამი განჯელის „ლეილმეჯნუნიანი“ და მრ. სხვ.), რომლის კვალი აშკარად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“. [გამოყენებულ იქნას ადგილები: „იგი ჰირი არ უნახავს არც რამინს და არცა ვისსა“. (სტრ. 183). „ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“. (სტრ. 1080). „მისნი ვერ გასძლნეს პატიენი ვერც კაენ, ვერცა სალამან“ (ძველი გამოცემებით „ვერც რამინ, ვერცა სალამან“) სტრ. 1340 და სხვ.]

7. პოემაში აშკარად ჩანს ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ხანის საბერძნეთის, ბიზანტიელებისა და საშუალო საუკუნეთა არაბ-სპარსულ მოაზროვნეთა ფილოსოფიური კონცეფციების, ქრისტიანულ თეოლოგიის და ნეოპლატონიკურ ფილოსოფიურ სისტემის კვალი. რუსთაველი თავისი დროის ფილოსოფიური აზროვნების განვითარების სიმაღლეზე დგას, და მსოფლიო კულტურის უმაღლეს მიღწევებს მოხდენილად უქავეშირებს თავის აზროვნება-მსოფლმხედველობას.

8. „ვეფხისტყაოსანი“ გენიალური აგებულების (არქიტექტონიკის) პოემაა. იქ ორი ამბავია მოთხრობილი: ავთანდილ-თინათინის და ტარიელ-ნესტანდარეჯანის. ეს ორი ამბავი მდიდარია შემავალი ეპიზოდებით (ფირდონისა, ფატმანისა, ქაჯეთისა და სხვათა ამბები). ეპიზოდური ამბები შეიცავს ბევრ სამოტივო დეტალსა და საგულისხმო სიტუაციებს. ხოლო ყველაფერი ეს დიდი მხატვრული გემოვნებითა და დამაჯერებლობით არის აკინძული ერთ მთლიან სიუჟეტურ თხრობად.

9. თავისი სიუჟეტით „ვეფხისტყაოსანი“ დღემდის რჩება მიმზიდველ საკითხავ წიგნად. პოემა თავით ბოლომდის იწვევს შეუნელებელ ინტერესს. უცხო მოყმის სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანილ რუსთაველი უკვე ქმნის დაძაბულ სიტუაციას. ამ მომენტიდან ავტორს დაპყრობილი აქვს მკითხველის ყურადღება. მკითხველი მოელის არა მარტო უცხო მოყმის ამბის გაგებას, არამედ თვითეული მოქმედი პირის თავგადასავლის გაცნობასაც.

* * *

შენიშვნა: „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტის წარმოშობაზე ათეული წლების განმავლობაში სწარმოებდა მეცნიერულ ლიტე-

რატურული პოლემიკა. რიგი მკვლევარებისა ფიქრობდა: პოემა შეიძლება ნათარგმნი იყოსო, ემყარებოდნენ რა პოემის პროლოგის ცნობილ სტროფს „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (სტრ. 9), ან სიუჟეტური შემოტანილი ამბავი იყოს გალექსილიო, პროლოგის სტროფი „აქამდის ამბად ნათქვამი აწ მარგალიტი წყობილი“ (სტრ. 7); რიგი მკვლევარებისა ემხრობოდა ეგრეთწოდებულ პოემის წარმოშობის ფოლკლორისტულ თეორიას, მათი აზრით პოემის სიუჟეტი წარმოადგენს ხალხურ თქმულებას, იქნება ის გარედან შემოსული თუ ორიგინალური წარმოშობისა; რიგი მკვლევარებისა ემხრობოდა პოემის სიუჟეტის ისტორიულ წარმოშობას, მათი აზრით პოემა თამარ მეფის ცხოვრების და თავგადასავლის ისტორიის პოეტური გალექსვა არისო. დამაჯერებელი, ან დამადასტურებელი საბუთები თავის დებულებების დასამტკიცებლად არც ერთ თეორიის მომხრეებს არ წამოუყენებიათ. ამ საკითხებს ლექტორი საჯარო პოპულარულ ლექციებში არ შეეხება (ეს უფრო ვიწრო სპეციალური კვლევაძიების საკითხია) მით უმეტეს რომ ამ საკითხებზე ეხლა აღარავინ კამათობს.

IV ლექცია

ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები

- ლექციის გეგმა: 1. ვეფხისტყაოსნის მოქმედი პირები, მთავარი ტიპები, დამხმარე ტიპები.
2. მოქმედ პირთა ინდივიდუალური დახასიათება: ფსიქოლოგიური მსგავსება და განსხვავება ავთანდილსა და ტარიელს, თინათინსა და ნესტანდარეჯანს შორის. დანარჩენ მოქმედ პირთა სუბიექტური თვისებები.

თეზისები

1. „ვეფხისტყაოსანი“ მდიდარი და მრავალფეროვანია მოქმედი პირებით. პოემაში გამოყვანილია სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, ეროვნულ-ტომობრივი წარმოშობისა და ხასიათის მამაკაცებიც და დედაკაცებიც. ავტორი გვიხატავს ზოგად ადამიანთა სახეებს მთელი თავისი შინაგანი ფსიქოლოგიური ბუნებით; გვიჩვენებს ადამიანის როლსა და დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოემის მთავარი მოქმედი პირების (ტარიელი და ავთანდილი, ნესტანდარეჯანი და თინათინი) აგრეთვე დანარჩენი პირების (მეფეები, მსახურები, ვაჟრები და სხვ.) სახით მოცემულია ადამიანთა ზოგად-კაცობრიული ტიპები.

2. „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება გაშლილია დიდ გეოგრაფიულ არეზე. მოქმედი პირები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და სხვადასხვა ინდივიდუალობის მქონე ადამიანები არიან. შემოქმედებითი ტოლოს ასეთი სივრცე და მოქმედ პირთა ეროვნული სხვაობა ჩვეულებრივ დამახასიათებელი ნიშნებია რაინდული რომანებისა. რამდენად რაინდის მოქმედების არე განუსაზღვრელია და მოსალოდნელი დაბრკოლებები ძნელად დასაძლევია, იმდენად რე-

ლევფურად უნდა გამოჩნდეს გმირის „საქმენი საგმირონია“. რუსთაველი იცავს ამ საერთო კონცეფციას.

3. რუსთაველი უალრესად ნაციონალური პოეტი მოაზროვნეა-იგი ხატავს თავისი ღრობის ქართულა სოციალური სინამდვილის სურათებს, რეალურ-ისტორიული სამყაროდან იღებს თავისი პოემის ასაგებად საჭირო მასალას. პოემის პერსონაჟები საქართველოს XI—XII საუკუნეების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნიადაგზე მოქმედ ადამიანებს გვაგონებენ.

4. რუსთაველი პოემის მოქმედ პირებს ცხოვრების ერთნაირ ობიექტურ პირობებში გვიხატავს. ისინი ერთმანეთს ჰკვანან ცხოვრებისა და საქმიანობის კონკრეტული ვითარებით. გარეგნულადაც კი—სხეულის მოყვანილობით, სილამაზით, ღამაცობით, შინაგანი განცდებით და გრძნობებითაც ისინი დიდად ექსგავსებიან ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, თვითველი მოქმედი პირი დახატულია თავისი საკუთარი, ინდივიდუალური ადამიანური თვისებებით. ამით პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად ცხოვრების ობიექტური პირობების იდენტურობისა, ყოველ ადამიანს აქვს თავისი სუბიექტური ინდივიდუალობა.

5. მსოფლიო ლიტერატურაში მრავალია ბრწყინვალე ნაწარმოებები, რომელთა მოქმედი პირები (ჰამლეტი, ოტელო, ფაუსტი და სხვანი) თავისი ბუნებით მსოფლიო ტიპებია; ისინი ზოგად-ადამიანური თვისების და ხასიათის მატარებელნი არიან. ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედი პირებიც. ტარიელი, ავთანდილი, ნესტანდარეჯანი, თინათინი და სხვანი ნაყოფია დიდი შემოქმედებითი ნიჭისა და გასაგებია ყველა ერისათვის, როგორც ზოგად-ადამიანური ბუნებისა და ხასიათის პერსონაჟები.

6. პოემის მთავარი მოქმედი პირი ტარიელი, უპირველეს ყოვლისა, გრძნობას აყოლილი (ემოციური) პიროვნებაა; იგი ტიპია ისეთი ადამიანისა, რომელსაც ღრმა მგრძნობელობის ზეგავლენით ხშირად ეკარგება წონასწორობა; მისი განცდები ხშირად აფექტურობამდე მიდის, იგი ხშირად ტირის და გონებას კარგავს, მაგრამ მწუხარებისგან თავის დაღწევასაც მალე ახერხებს. მაშინ იგი ბრძენია, ბრძოლის უნარიანი და მეგობრისთვის თავდადებული რაინდია. იგი გულისხმიერია, მოსაზრებელი, ფრთხილი და რჩევის მიმღები. ტარიელი უბადლო მიჯნურია, თავგანწირული და ტანჯული სიყვარულისათვის. იგი ვერ უძლებს მოზღვავებულ გრძნობას და სავსებით ემორჩილება მის ძალას. ტარიელი, გარდა

თავისი ტრფობის ობიექტისა, თავისი სამშობლოს და ხალხის მოსიყვარულე პატრიოტია, მას აწუხებს და თავმოყვარეობას უღახავს ის გარემოება, რომ ინდოეთის ტახტზე უცხო ვცადა უნდა დაჯდეს. აქ ტარიელი მზად არის ქვეყნის სიყვარული პირად მიჯნურობაზე მალა დააყენოს. (გამოყენებულ იქნას ადგილები: „სხვა მძიმე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?“ სტრ. 565. „ინდოეთი ჩემი არის, ღრვის ზივსცე ჩემგან კიდე“... სტრ. 566. და სხვ.). ტარიელი მართლმსაჯული, მოწყალე და ბრძენი მმართველია. იგი ყველას თანაბრად ჰფენს წყალობას, ეხმარება ობოლ-ქვრივებს, მათხოვრებს, ხოლო ავის მქმნელს თავზარსა სცენს და სხვ. (გამოყენებულ იქნას ადგილი, სადაც პოეტი თავის პოემის პერსონაჟებზე, სამივე ძმადნაფიცზე ამბობს:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს;
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“...
სტრ. 1664).

7. პოემის მეორე მოქმედი პირი ავთანდილი, პირიქით, უპირველეს ყოვლისა ინტელექტუალური პიროვნებაა. იგი ტიპი ისეთი ადამიანისა, რომელსაც მუდამ თან ახლავს წონასწორობა, ღამიანის ნიჭის, გონება-გრძნობა-ნებისყოფის ჰარმონიული შეზავება. ტარიელთან შედარებით იგი დინჯია, აუჩქარებელი და ყველა შემთხვევაში წონასწორობის დამცველი. ავთანდილიც უბადლო მიჯნურია, მწვავედ განიცდის ამ გრძნობას, მაგრამ გარეგნულად არ იმჩნევს, თავის განცდებს არვის არ უმჟღავნებს, როცა ვერ ხედავს თავის სატრფოს, მაშინ „ვარდი შეიქმნს ფერნაკლულად“... სტრ. 41 და, თუკი ხედავს, „ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად“. სტრ. 41. ავთანდილიც გრძნობიერია, მაგრამ გულსა და გრძნობას ყოველთვის ჰკუთავსებს უმორჩილებს. მართალია, ისიც ხშირად ცრემლსა ღვრის, ოხრავს თინათინის მოშორების გამო, მაგრამ არასოდეს არ ვარდება სასოწარკვეთილებაში და ყოველთვის ებრძვის წინააღმდეგობას. (გამოყენებულ იქნას ადგილები:

„კვლავცა იტყვის: „დათმობა სჯობს“, და თავსავე ეუბნების:
„დღეთა ადრე ნუ მოკვდები, გული ჩემი ნუ დადნების“...
„პირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“...
სტრ. 875 და სხვა ადგილები).

ავთანდილი მეგობრისთვის თავდადებული პიროვნებაა. რუს-თაველს სწორედ ეს პერსონაჟი ჰყავს გამოყვანილი თავგანწირული და უმწიკვლო მეგობრობის საილუსტრაციოდ (გამოყენებულ იქნას ადგილები:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:

პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა“... სტრ. 777-

„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“...

სტრ. 789..

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ქირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“...

სტრ. 703.)

ავთანდილი მჭევრმეტყველია, მოხერხებული და ადამიანის ფსიქიკის კარგი მცოდნე. ამის მაჩვენებელია: ასმათთან პირველი გაცნობის სცენა გამოქვამულში, ტარიელთან მეორედ შეყრის სცენა, როდესაც თავის მეგობარს ორ მხეც შუა დაბნედილს ნახავს, სცენა ფატმანთან და სხვ. ავთანდილი ბრძენი და შორსმჭვრეტელია, მისი ანდერძი, რომელიც მან დაუტოვა მეფე როსტევანს ტარიელის დასახმარებლად გაპარვისას, უძვირფასესი დოკუმენტია ამ გმირის დასახასიათებლად. (გარჩეულ იქნას ანდერძი მთლიანად სტროფები 788—807). ავთანდილი არავითარ შემთხვევაში არ იკარგება არ იბნევა, გამოუვალი მღვთმარეობიდან ყოველთვის მზად არის იპოვოს სწორი და მიზანშეწონილი გზა. ამიტომ ავთანდილი ყოველთვის თავის მიზანს მიაღწევს ხოლმე.

8. ქალთა ტიპებიც „ვეფხისტყაოსანში“ იმავე სახით არიან დახასიათებულნი, როგორც მამაკაცები. ნესტანდარეჯანს, მსგავსად ტარიელისა, ახასიათებს მოზღვავებული გულისთქმა, აფექტურობა, უმწიკვლოება და უდიდესი სიმტკიცე მიჯნურობაში. ნესტანიც ზოგად-ადამიანის ტიპია. იგი არის როგორც კარგი მიჯნური, ასევე თავდადებული მეგობარი და ერთგული შვილი თავისი მშობლებისა და სახელმწიფოსი. როგორც ეპოქის შვილი, ნესტანი რაინდობის მოტრფიალეა, რაინდობას სთხოვს თავის მიჯნურს, სამაგიეროდ პირდება ერთგულ, თავდადებულ სიყვარულს. (გამოყენებულ იქნას ადგილები:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“... სტრ. 377.

„გეცრუო, ლმერთმან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა“...

სტრ. 413.

„გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთვის დაიკირე“...

სტრ. 414 და სხვ.)

ნესტანდარეჯანი, ერთგული მიჯნურია, არასოდეს არ უღალატებს თავის სატროფოს, უარყოფს ყოველგვარ სახარბიელო შემთხვევებს, ბრწყინვალე პერსპექტივებს, დედოფლობას ზღვათა სამეფოში თუ ქაჯეთის სახელმწიფოში, რომ ერთგულად და უმწიკვლოდ დარჩეს თავისი ძვირფასი ტარიელისათვის.

ნესტანდარეჯანი მგზნებარე პატრიოტია, დიდად მოსიყვარულეა თავისი ხალხისა და სამშობლოსი, იგი ზრუნავს ინდოეთისათვის, სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. ხშირად ნესტანი მზად არის პირადი ინტერესები საზოგადოებრივს შესწიროს. როცა გადაწყდა ნესტანის გათხოვება ხვარაზმშას შვილზე, ქალს ეს მიუღებლად მიაჩნია, პირველ ყოვლისა, სამშობლო ინტერესებისათვის. (გამოყენებულ იქნას ადგილები:

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“...

სტრ. 540.

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა, ჰკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ქამასა“...

სტრ. 544.

„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა“...

სტრ. 1307 და სხვ.)

ნესტანდარეჯანი მშობლების მოსიყვარულეა. ქაჯეთის ციხეში დამწყვდეული თავის გამოხსნაზე მეტად მშობლებისთვის ზრუნავს. ქაჯეთის ციხიდან მიწერილ წერილში ტარიელს ემუდარება:

„წადი ინდოეს მიჰმართე არგე რა ჩემსა მშობელსა,

მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა“...

სტრ. 1307.

ნესტანმა კარგი მეგობრობაც იცის (თინათინთან, ასმათთან, ფატმანთან), იგი კარგი მიჯნურია, თავდადებული მეგობარი და ერთგული შვილი თავისი მშობლებისა და სახელმწიფოსი.

მ. თინათინი თავისი ხასიათით ნესტანდარეჯანისაგან განსხვავებული ტიპია. იგი უფრო პრაქტიკული და ფციზელი ადამიანია, რომელსაც წონასწორობა არ ეკარგება და მძიმე მომენტებს ალღოს აუღებს, ყოველ საქმეში იჩენს დიდ დაკვირვებას და მოსაზრებას. უცხო მოყმის ნახვით და მისი ვინაობის გაუგებრობით შეწუხებულ როსტევანს ისეთ გონივრულ დარიგებას აძლევს, რომ მეფე იძულებულია აღიაროს „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო“

(სტრ. 118). თინათინი თავმდაბალი, კდემამოსილი, მორიდებული ქალია. ამის მაჩვენებელია მისი ტაქტი და მოქცევა ტახტზე ასვლის, აღლევებული მამის დაშვიდების და, საერთოდ, სახელმწიფოს გამგებლობის დროს. თინათინი შესანიშნავი მიჯნურია, მტკიცე და ერთგული. (გამოყენებულ იქნას ავთანდილის და თინათინის პირისპირ შეხვედრის სცენა და ადგილები:

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევიერთო რაცა ქმარი, მზეცა მომხდდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი, სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი, შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“...

სტრ. 133).

თინათინი კაცთმოყვარეა, სხვისი ტანჯვის მცნობი და გამზიარებელი, მეგობრული გრძნობის მატარებელია. ტარიელისაგან დაბრუნებულ ავთანდილს ნებას დართავს, რომ ისევე წავიდეს მეგობართან და დაეხმაროს დაკარგული მიჯნურის პოვნაში. ამგვარად, თინათინის სახით პოეტმა მოგვცა მეტად ლამაზი, კარგი მიჯნური, ზრდილობიანი, სათნო, კეთილშობილი, უანგარო, მეტად მიმზიდველი, კაცთმოყვარე, აუჩქარებელი, გონიერი და წინდახედული ადამიანის ტიპი.

10. ასე უნდა დახასიათდეს პოემის დანარჩენი მოქმედი პირებიც, მაგალითად, ნურადინ ფრიდონი—მულღანზანზარის მეფე,—როგორც ერთგული მეგობარი, მოხერხებული ადამიანი, რომელიც მზად არის მეგობრისათვის თავი გაწიროს და რომელსაც ერთგვარი ანგარება და გამდიდრების სურვილიც ახასიათებს. ასშათი—თავდადებული, ერთგული, მეგობრის მოსაყვარულე პიროვნებაა, მტკიცე ხასიათისა და ნებისყოფის, თავდაპირველი და ენამახვილი ადამიანი. შერშადინი—ავთანდილის ერთგული ყმა, გამგონე და მორჩილი თავის პატრონისა. მეფეები როსტევანი და ფარსადანი ფეოდალურ სისტემის წიაღში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებია, ზოგჯერ თუ ისინი მართლმსაჯულნი, მოწყალე მზრუნველი არიან თავის ქვეშევრდომის მიმართ, სამაგიეროდ, ზოგჯერ თვითნება, ანჩსლი და უსამართლონიც არიან.

* * *

შენი შენა: „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების დახასიათების დროს უეჭველად წამოიჭრება საკითხი —აკაკი წერეთლის და ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი პოემის გმირებზე. მე-19 საუ-

კუნის ოთხმოცდაათიან წლებში აკაკიმ სამი ლექცია წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების ხასიათზე, სადაც ის აზრი გაატარა „რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები ნამდვილი ქართველები არიან, სხვადასხვა კუთხეებიდან აღებულნი“, და რომ „ნესტანდარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის“ სიმბოლო, რომლის გამოხსნა მართო ტარიელს უკეთესი იქნებოდა და უფროდონოდ არ შეუძლია“. აკაკის ლექციებმა გამოიწვიეს ილიას ცნობილი წერილი, რომელშიაც ის აზრი არის გატარებული, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი საერთო კაცობრიულს რასწე წარმოგვიდგენენ. მათში ქართლელის, იმერლის და მეგრელის დანახვა რუსთაველის ვიწრო ფარგალში მომწყვედვება, მისი უბრალო ეტნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზე ჩამოხდომა“, რადგან „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათ ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ ივინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან“ („ივერია“ 1887 წ. №№ 75, 76, 77).

ეს წერილები იმით არის საყურადღებო, რომ ორმა დიდმა პოეტმა პირველად დაილაპარაკა რუსთაველოლოგიის მეთოდოლოგიაზე, პოემის მხატვრული ღირებულების გარკვევის საკირობებზე და მის მნიშვნელობაზე მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით. ამიტომ ეს საკითხი შეიძლება ცალკე ლექციის საგნად გახდეს.

ილიას და აკაკის წერილები გადმობეჭდილია წიგნში „ქართული მწერლები შოთა რუსთაველს“, თბილისი, 1937 წ.

V ლექცია

ვეფხისტყაოსნის იდეურ-თემატიკური მოტივები

ლექციის გეგმა: მიჯნურობა, მეგობრობა, ხალხთა მეგობრობა, პატრიოტიზმი, ქალის კულტი, რაინდობა, ჰუმანიზმი, ადამიანის იდეალი.

თეზისები

1. „ვეფხისტყაოსანი“ რეალისტური ნაწარმოებია. იგი ასახავს რთული და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ცხოვრების სურათს. მისი თემა არის ცოცხალი ადამიანი, რომელსაც ყველა თავისი ნიშნითა და თვისებებით სრულიად გარკვეული ადგილი უჭირავს ქვეყნის მთლიანობაში. ადამიანის დანიშნულებაა ცხოვრების ამ რთულ ფორმებში მოვალეობის შესრულება: ბოროტზე გამარჯვება სიკეთის დანერგვა. პოეტი გვიხატავს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების და ამქვეყნიური დანიშნულების საუკეთესო საიდეალო ფორმებს.

2. მრავალფეროვანია „ვეფხისტყაოსნის“ მოტივები, რომელთა შორის, თავისი იდეურ-ეთიკური მნიშვნელობით და საერთო ხვედრითი წონით, გამოირჩევა სიყვარულისა და ძმობა-მეგობრობის მოტივები. ეს მოტივები პოემაში განუყოფელ მთლიანობაშია მოცემული, ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებულნი. ძმობა-მეგობრობა სიყვარულის ქვაკუთხედი, ხოლო სიყვარული გზა და ხილია ძმობა-მეგობრობისა. იდეური მიჯნურობა და იდეური მეგობრობა—მკვეთრი იარაღია დაბრკოლებათა დასაძლევად ადამიანის საბოლოო გამარჯვებისათვის.

3. სიყვარული ანუ მიჯნურობა ადამიანის ბუნების გამაკეთილშობილებელი და ამამაღლებელი გრძნობაა („სიყვარული აგვამაღლებს“ სტრ. 791), სიყვარული ზნეობრივი ცხოვრების წყაროა, იგი ალაშაზებს და ააზრიანებს ადამიანის სიცოცხლეს. სიყვარული იძლევა გმირობისა და მამაცობის სტიმულს (გამოყენებულ იქნას

ადგილები: თინათინის და ავთანდილის ბაასი, დავალების მიცემა და ავთანდილის გამგზავრება უცხო მოყმის საძებნელად (სტროფები 125—141); ტარიელის და ნესტანდარეჯანის გამიჯნურების პირველი მომენტები და ნესტანდარეჯანის პირველი წერილი ტარიელისადმი მიწერილი (სტროფები 341—346, 376—380); ნესტანდარეჯანის წერილი ტარიელისადმი მიწერილი ქაჯეთის ციხიდან (სტროფები 1293—1309).

4. მეგობრობა — უკეთილშობილესი კაცთმოყვარული გრძნობაა. იგი გულისხმობს მეგობრისათვის თავდადებას, ზოგჯერ პირადულისა და საკუთარის მთლიანად უარყოფას მეგობრის კეთილდღეობისათვის; ზოგჯერ მეგობრობა უფრო მაღალი, ფაქიზი გრძნობაა, ვიდრე მიჯნურობა (გამოყენებულ იქნას ადგილები:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჳირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“...
სტრ. 703.

„ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიყვდილსა და ჳირსა თავი არ დაჳრიდოს“...
სტრ. 306.

ავთანდილის და ტარიელის გაცნობა და ავთანდილის შეფიცება მეგობრობისა და მისთვის დავდადება, სტროფები 298—306.

დაძმობილებასთან ერთად დობის იდეა — თინათინის და ნესტანდარეჯანის დობის ფიციით შეკვრა:

„ქმარი შენი ძმაა ჩემი, აგრევე მწადს თქვენი დობა“...
სტრ. 1548).

5. ხალხთა მეგობრობა „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი იდეური მოტივია. რუსთაველის გენიალობა იმაშია, რომ ინდოელი ტარიელი, არაბი ავთანდილი და მულღაზანზარელი ფრიდონი მხურვალე თანაგრძნობით დაამეგობრა. პოეტის აზრით, ეროვნული განსხვავება არ ქმნის დაბრკოლებას ადამიანთა დასაახლოვებლად, მთავარია ადამიანთა სამოქმედო მიზანდასახულობა, უსამართლობის, ბოროტების, ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. (გამოყენებულ იქნას ადგილები: ტარიელის და ფრიდონის გაცნობა და ურთიერთობა, სტროფები 645—648.

„მისთა სპათა მუხლ-მოყრილთა თავი მათი ჩემ-კერძ ირეს“...
ტარიელის დაბრუნება ინდოეთში და ავთანდილის მიერ ჯარით გაცილება

„ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა“
სტრ. 1563.

ძმადნაჯიციების თანამშრომლობა, ურთიერთ დახმარება და შეთანხმებული მოქმედება:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს, ერთმანერთსა ჰნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს“...

სტრ. 1663.).

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველმა კონკრეტულად დასახა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მალალკეთილშობილური იდეა.

6. პატრიოტიზმი, ანუ სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილური იდეა მეტად ფართოდ და ღრმად არის გაშუქებული „ვეფხისტყაოსანში“. პოემის ყოველი მოქმედი პირი ერთგულად ემსახურება თავის სამშობლოს. ხშირად ისინი სამშობლოს ინტერესებს პირადულ ინტერესებზე მალლა აყენებენ. (გამოყენებულ იქნას ადგილები: ნესტანდარეჯანის გათხოვების დაპირება და ხვარაზმელის სასიძოს მოწვევა. ნესტანდარეჯანის მტკიცე განცხადება:

„ესე ამბად არ ეგებინს, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“...

სტრ. 540.

„ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ქამასა“...

სტრ. 544.

სასიძოს მოკვლა ინდოეთის ეროვნულ ღირსების და სუვერენობის დაცვისათვის. სტროფები 543—545.

ნესტანდარეჯანის მიერ ქაჯეთის ციხიდან ტარიელისადმი მიწერილი წერილი:

„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპურობელსა“...

სტრ. 1307.

უცხო მოყმის საძებნელად ავთანდილის გამგზავრების წინ თავისი ხელქვეითებისადმი მიცემული დავალება:

„გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,

მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი“ სტრ. 167.).

7. ქალიხ კულტი, ანუ ქალის პატივისცემის იდეა თავითბოლომდის გასდევს „ვეფხისტყაოსანს“. რუსთაველმა დედაკაცი მამაკაცს გაუთანასწორა მორალურად და ინტელექტუალურად; გარკვეულ პირობებში პოეტს შესაძლებლად მიაჩნია მამაკაცისა და დედაკაცის პოლიტიკურ-უფლებრივი თანასწორობაც კი. (გამოყენებულ იქნას ადგილები: თინათინის გამეფების აღწერილობა. სტროფები 48 — 51.

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;

არ გათნეოთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვიტყვამს კვლა დია;

ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია... სტრ 39).

პოემის პერსონაჟები—თინათინი, ნესტანდარეჯანი, ასმათი მეტად ენერგიულნი არიან. მოქმედებაში იჩენენ დამოუკიდებლობას და თაოსნობას. რუსთაველის სიდიადე იმაშიც ჩანს, რომ მან აღმოსავლეთის და დასავლეთის პოეზიაში იმ დროს გაბატონებული დედაკაცის უსრულობისა და ზნეობრივ-გონებრივი შეზღუდულობის თვალსაზრისი დაარღვია და ქალების სახით მოგვეცა დამოუკიდებელი ხასიათის პატრონი და თავისუფლების მოყვარული პიროვნებანი.

8. ჰუმანიზმი — რუსთაველის სოფლმხედველობის ძირითადი საფუძველია. პოეტის ყურადღების ცენტრშია ადამიანი, ადამიანობა, ცხოვრების სინამდვილე. წინააღმდეგ შუა საუკუნეების რელიგიური ფანატიზმისა, ასკეტიკური მორალისა, საიმპეყენიო ნეტარების მოპოვებისათვის ხორციელი სურვილების ჩახშობისა, პოეტმა უმღერა მიწიერ სიყვარულს, ამქვეყნიურ ბედნიერებას, სილამაზესა და სინათლეს, სიტურფეს და სიკეთეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში. (გამოყენებულ იქნას გაზ. „პრავდას“ მოწინავე წერილში მოცემული შეფასება: „რუსთაველმა ჩაახშო შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა კაცთმოდულე ღრიანცელი და იმღერა მგზნებარე სიმღერა ადამიანსა, თავისუფლებასა, სიყვარულსა და ბედნიერებაზე“). თავისი ჰუმანისტური იდეებით რუსთაველი წინ უსწრებს დასავლეთ ევროპის აღორძინების ეპოქის დიდ წარმომადგენლებს.

* * *

შენიშვნა. შეიძლება ცალკე ლექციის თემად გამოიყოს რუსთაველის მსოფლმხედველობა. პოემა სავსეა ღრმააზროვანი აფორიზმებით, სენტენციებით, ფილოსოფიური და მორალური დიდაქტიკური ხასიათის აზრებით. არის ადგილები, სადაც მოჩანს პოეტის ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების კვალი. ძნელია დადგენა რუსთაველი კონკრეტულად რომელი ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლად ჩაითვალოს (პლატონიკად, ნეოპლატონიკად, სტოიკად, სუფისტად თუ სხვ.).

ამ თემის თეზისები არ არის აქ მოცემული, რადგან უფრო სპეციალური საკითხებია და პოპულარულ ლექციების თემად ნაკლებ გამოსაყენებელია.

უფრო გარკვევით შეიძლება რუსთაველის პოლიტიკურ იდეოლოგიაზე ლაპარაკი, პოეტი ფეოდალურ საზოგადოების იმ ფართას ეკუთვნის, რომელიც, პატრონყმურ ურთიერთობაზე დამყარებული, მონარქიული პრინციპის, აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების მომხრეა.

VI ლექცია

ვეფხისტყაოსნის სოციოლოგია

ლექციის გეგმა: პატრონჟიმობა, აბსოლუტური მონარქიზმი, სავაქრო ურთიერთობა და ფეოდალური ყოფა.

თეზისები

1. რუსთაველი თავის პოემაში ასახავს ქართული სოციალური ცხოვრების იმ ინსტიტუტს, რომელსაც პატრონჟიმობა ეწოდება. იმდროინდელი სახელმწიფოს კონსტრუქცია ასეთია: საზოგადოების უზენაესი პატრონია მეფე. მეფეს ჰყავს უახლოესი ყმები, თავისდა რიგად ესენი საკუთარი ყმების პატრონები არიან. ერთი სიტყვით, სრული სურათია საშუალო საუკუნეების „ფეოდალური იერარქიული კიბის“ პატრონჟიმური სისტემისა.

2. პოემის მთავარი გმირები — ტარიელი და ავთანდილი — თავიანთი მეფეების ყმები არიან, მაგრამ, ამავე დროს, ისინი არიან დიდი მამულის მფლობელები და მრავალრიცხოვანი საკუთარი ყმების პატრონები. (გამოყენებულ იქნას ადგილები: ავთანდილს

„ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ ზღუდესა უქვეტკიროსა“...

სტრ. 149.

ტარიელიც საკუთარი მამულისა და ციხე-ქალაქის პატრონი იყო:

„ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი“...

სტრ. 559.)

მათ ჰყავდათ საკუთარი ლაშქარი და ჰქონდათ ერთგვარი პოლიტიკური ორგანიზაცია (გამოყენებულ იქნას ადგილი: როდესაც ავთანდილი მიდის უცხო მოყმის საქმენელად, თავის მოადგილედ ტოვებს ყმა შერმადინს, რომელსაც ავალებს:

„ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი,

დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,
წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი“...
სტრ. 156).

3. უნდა აღინიშნოს რუსთაველის პოლიტიკური პროგრესულობა. პოეტი გაბატონებული პატრონყმური სისტემის დროს ავითარებს და იცავს გაერთიანებული და ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი მმართველობის პრინციპს (გამოყენებულ იქნას ადგილები: ტარიელის მამა სარიდანი, ინდოეთის მეშვიდე ნაწილის მფლობელი, ნებაყოფლობით მიეკედლა, ვასალად გაუხდა ინდოეთის დანარჩენი ნაწილების პატრონს მეფე ფარსადანს. სტროფები 311 — 314). რუსთაველის იდეალია ერთიანი, მძლავრი, ცენტრალიზებული სახელმწიფო და ერთმეფობის სისტემა, რაც შუა საუკუნეებში, ფეოდალური განდგომილების და პარტიკულარიზმის წინააღმდეგ, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

4. აბსოლუტური მონარქიზმის მომხრე რუსთაველი, ქვეშევრდომთაგან მოითხოვს მეფისადმი, როგორც უზენაესი პატრონისადმი, სრულ შორჩილებას, პატივისცემასა და მოწიწებთს დამიკიდებულებას. (გამოყენებულ იქნას ადგილები: ტარიელი ხატაელებს რომ შეება, ომის წინ ჯარს მიმართავს:

„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.

აწ შევებნეთ ხატაელთა, ხრმალნი ცულად რას გვაბიან?“..

სტრ. 440.

ავთანდილი, რომ გაემგზავრება უცხო მოყმის საძებნელად, შერმადინს დაავალებს:

„აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე,

სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე“... სტრ. 779.

თინათინი ავთანდილს რომ გზავნის უცხო მოყმის საძებნელად, დავალებასთან ერთად მოაგონებს:

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:

პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გყავს შენად სწორად“...
სტრ. 130).

5. „ვეფხისტყაოსანში“ კარგად არის ასახული ვაჰართა წრე, მათი ყოფაცხოვრება, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, მორალური სახე, მატერიალური მდგომარეობა და ეკონომიური ურთიერთობა. (გამოყენებულ იქნას ადგილები: გულანშარო, საზღვაოსაალებშიცემო ქალაქი, ბქაური ცხოვრების თავისებური სტილი:

„დიდ-ვაჰარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ:

იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;

გლახა თვე ერთ გამდიდრების, სავაქროთა ყოვლგნით ჰკრებენ, უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ“... სტრ. 1067). ვაქრების ფიზიკური უილაჯობა, მათი ხელმოკერილობა, ანგარიშ-შიანობა, სიძუნწე, სახელმწიფო საქმეებზე გავლენა. (გამოყენებულ იქნას ფატმანის ქმრის, უსენის, დახასიათება, მისი მდგომარეობა, მორალური სახე. სტროფები: 1150, 1164, 1165, 1204, 1205).

6. ცალკე დახასიათდეს ფატმანის პიროვნება. მისი სიყვარულის განცდები, მისი შეხედულება ოჯახის და ქმრის ერთგულებაზე. პარალელები გატარდეს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოცემული მიჯნურობის თვისებებსა— „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხედეს, თუნდა ქუში“... სტრ. 25. „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით აღვა“... სტრ. 27 და ფატმანის სასიყვარულო განცდებს შორის: „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა“... სტრ. 26.

7. ფატმანის ადამიანური ღირსება: გრძნობიერება, სულგრძელობა, კაცთმოყვარეობა (გამოყენებულ იქნას ადგილები: ნესტანდარეჯანი ფატმანთან, ფატმანის დედობრივი მზრუნველობა, მონაწილეობა ნესტანდარეჯანის გამოხსნის საქმეში და სხვ.) ვაქრული საზოგადოების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეალები რუსთაველის შეხედულება ვაქართა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

VII ლექცია

ვეფხისტყაოსნის მხატვრული ფორმა

- ლექციის გეგმა: 1. ენის თავისებურებანი და მხატვრული-პოეტური ხერხები: მეტაფორები, ეპითეტები, შედარებანი, განმეორებანი, პარალელიზმები, აფორიზმები.
3. ენის ბგერითი მხარე და ლექსის ფორმა: ასონანსები და ალიტერაცია, მაღალი და დაბალი შაირი.

თეზისები

1. „ვეფხისტყაოსანი“ შინაარსით და იდეური მხრით მაღალხარისხოვანი ნაწარმოებია. შინაარსით მდიდარ ნაწარმოებს პოეტური ფორმაც საუცხოვო აქვს. რუსთაველს თავის პოემაში გამოყენებული აქვს მრავალნაირი პოეტური ხერხი, მათგან ყველაზე მრავლადაა მეტაფორები. პოემაში გვხვდება მარტივი, რთული, გავრცობილი მეტაფორები; მეტაფორული სახეები ერთიმეორეს ენაცვლება. სამეტაფორო სახეებში უფრო ხშირია ვარდი, მზე, გიშრის ტბა, ნარგიზი და სხვ. მაგალითები:

„ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჟეირვალი“.

სტრ. 1292.

ვარდი—ბაგე, გააპის—გახსნის, ბროლი—კბილი. ამ მეტაფორის საერთო აზრი ასეთია: ბაგეები გახსნა და გამოჩნდა ბროლივით ელვარე კბილები.

„ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩნდა“...

სტრ. 1158.

„ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა“...

სტრ. 84.

მზე. ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“...

სტრ. 1420.

მზე-ტარიელი, მთვარე—ნესტანი, გველი—ქაჯეთის ციხე. მეტაფორის საერთო აზრია—ტარიელის შესახვედრად ქაჯეთს გამოეშვა ნესტანი.

გიშერი. ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა აქ ყველა სიტყვა მეტაფორულია: ნუშნი გააპნა—თვალეზი გაალო, შეიძრნეს სათნი (წამწამების), გიშრისა—შავი. მეტაფორის საერთო აზრია: თვალეზი გაალო, შეიძრა შავი წამწამების წვრილი ღეროები.

2. „ვეფხისტყაოსანი“ მდიდარია ეპითეტებით. პოემის პერსონაჟები ჩვეულებრივ უხვი ეპითეტებით არიან შემკულნი: მაგალითები: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი მალაღი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლამოუბარი წყლიანი“... სტრ. 32.

3. „ვეფხისტყაოსანში“ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით მხატვრულ შედარებებს

„ლაფობდეს საკურკლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“... სტრ. 55.

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“...

„კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი“... სტრ. 447.

4. განმეორება რუსთაველის საყვარელი ხერხია, პოემაში განმეორების მრავალი სხვადასხვა სახეობა ვხვდება. მაგალითები:

„შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა შორით აღვა“... სტრ. 27.

„ფატმან რა ნახა, შეშინდა, ძრწის და მიეცა ძრწოლასა“... სტრ. 1100.

განმეორებანი სინონიმური სიტყვებით:

„მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევია“... სტრ. 52.

„ამილახრო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“... სტრ. 64.

მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა“... სტრ. 95.

განმეორებანი მხატვრული ჩამოთვლის სახით:

„გლახაკთა მიეც საკურკლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“... სტრ. 158.

„გეაჟები, საყვარელსა შემახვეწე, შემაბრალე“... სტრ. 1289.

განმეორებანი ფრაზებით:

„სხვაგნით ყოვლგნით ულონო ვარ, არვინ არის ჩემი ღონე“... სტრ. 247.

5. პარალელშიშვლები მეტად ხშირადაა გამოყენებული პოემაში. პოეტი ხმარობს როგორც დადებით, ისე კონტრასტულ პარალელშიშვლებს. დადებითი: მარგალიტი არეის მიჰხედეს უსასყიდლოდ, უვაქრელად“... სტრ. 162.

„ქალსა ყმამან მოუსმინა, დაჰმორჩილდა დართო
ნება“... სტრ. 263.

„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე“...
სტრ. 566.

„ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე,
შემიბრაქლე“... სტრ. 571.

კონტრასტულნი:

„მერე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაქორად“...
სტრ. 130.

„მის მოყვრისა მოშორება კვლა აბინდებს, არ
ადილებს“... სტრ. 713.

„კვლა შევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, არ
მხიარულად“... სტრ. 820.

„სამსა ღღესა დარბაზს ვიყავ, არ ცოცხალი, არცა მკვდარი“...
სტრ. 353.

6. აფორიზმები—ბრძნული აზრის პოეტური ფორმულაა. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათად თუ მოიპოვება აფორიზმებით ესოდენ მდიდარი ნაწარმოები. რუსთაველი თითქმის ყოველ სტროფში ხმარობს აფორიზმს როგორც ლოგიკურ დასკვნას თავისი ნააზრევისა. რუსთაველის ბევრი აფორიზმი გახალხურდა და ანდაზად გადავიდა ხალხში.

მაგალითები:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“...
სტრ. 800.

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“...
სტრ. 800.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“... სტრ. 39-

„საბრალთა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-ნაკლულად“...
სტრ. 41.

„ოდეს ტურფა გაიფდეს, არლარა ღირს არცა ჩირად“...
სტრ. 878.

„არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან“...
სტრ. 877. და შრ. სხე.

7. „ვეფხისტყაოსანი“, შინაარსის გარდა, უაღრესად მდიდარია პოეტური ფრაზის ბგერითი გამოხატულებით. პოემის ლექსის ელერადობა ვირტუოზულ სიმალემდეა აყვანილი. პოემაში ნახმარია ბგერულ განმეორებათა ორი სახე ასონანსი და ალიტერაცია (ასონანსი ეწოდება ხმოვანთა განმეორებას, ალიტერაცია—თანხმოვანთა ჰარმონიულ შეწყობას).

ასონანსების მაგალითები:

„მოართვეს, ვასცა უზომო, უანგარიშო, ულევნი“... სტრ. 52.

„ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი.

უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი“... სტრ. 1330.

„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია“... სტრ. 285.

ალიტერაციის მაგალითები:

„კრავის კალთა ჩახლართული ჩავეკერ, ჩავაკარაბაკე“...

სტრ. 558.

„მოვიდა სითმე ლარიბი მონა მოყვრითა სამითა,

მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხამითა“...

სტრ. 1217.

ბგერული ალიტერაციის გარდა, პოემაში ბევრია სიტყვათა ალიტერაციაც, მაგალითად:

„მზე აღარ მზეობხ ჩვენთანა, დარბი არ დარობხ დარულად“...

სტრ. 820

„იგი ნახეს დაღრეჯილნი, მზე დაღრეჯს მათის ღრეჯით“...

სტრ. 950.

პოემა მდიდარია ომონიმური რითმებით, მაჯამებით.

მაგალითად:

„თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცულად არ იღენო.

ამას იქით ნულარა სტირ, ჰირსა თავი არიდენო;

შენნი მკვრეტნი ჩემთა მკვრეტთა ავინებენ, არ იღენო;

რომე წელან მოგებვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო“... სტრ 495.

8. „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი ეპიკური ნაწარმოებია. ვრცელი თხრობის გადმოსაცემად კი კარგი ფორმაა შაირი. რუსთაველმა გამოიყენა ხალხში ძველადვე არსებული ლექსის საზომი შაირი, რომელიც გენიალურმა პოეტმა თავისებურად გადაამუშავა, ტექნიკურად სრულყოფილი და მუსიკალურად სწორუპოვარი სახე მისცა. რუსთაველი შაირის ორ ძირითად სახეს ხმარობს—მილალსა და დაბალს შაირს. ორივე სახის შაირი თექვსმეტმარცვლოვანი ტაქტისაგან შედგება, ხოლო განსხვავება რითმებშია. მილალი

შაირის რითმა ორმარცვლოვანია: პირსა, გმირსა, უნაგირსა, ანა-
ტირსა. დაბალი შაირის რითმა სამმარცვლოვანია: სვიანო, ყმიანო.
განგებოანო, წყლოანო.

მაღალი შაირის მაგალითი:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.

ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა“...
სტრ. 84.

დაბალი შაირის მაგალითი:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებოანი,
თვით მეომარი უებრო, კელა მოუბარი წყლიანი“... სტრ. 32.

* * *

9. ამგვარად „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ პოეტური მხარე იმდენად მდიდარია, რომ შემდეგი დროის მწერლებისათვის რუსთაველი გახდა „აზრთა და გრძნობათა მფლობელად“, ლექსის კანონმდებლად, უდიდეს ავტორიტეტად. ქართულ ლიტერატურაში დაკანონდა რუსთაველური ლექსის, შაირის ფორმა. ამ ლექსით იწერება არა მარტო ორიგინალური, არამედ ნათარგმნი თხზულებებიც. რუსთაველის ავტორიტეტის წინაშე ქედს იხრის შემდეგი დროის ყოველი პოეტი და მწერალი. ბევრი მათგანი თავისი ნაწარმოების დასაწყისში შთაგონებისათვის მიმართავს რუსთაველს: „აწ რუსთველო გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა“, ამავე დროს გულახდილად აღიარებენ, რომ რუსთაველს ვერვინ შეედრება: „მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთველის დასადარად“. რუსთაველის ვირტუოზული ლექსი, ლექსის ტექნიკა, სალიტერატურო ენის სასაუბროსთან დაახლოების უნარი არას დროს, არავისთვის არ დაჰკარგავს ნორმისა და ნიმუშის მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „რუსთაველის კრებული“ თბილისი, 1938 წ. გამოყენებულია აქ მოთავსებული სტატიები:

ა ბ უ ლ ა ძ ე, ი უ ს ტ ი ნ ე — „შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი“. სტატიაში ავტორი ავითარებს აზრს, რომ ზოგადი დახასიათებით შოთა რუსთაველი რომანული სიყვარულისა და რაინდული სიყვარულის კულტის უბაღლო გადმომცემია.

ბ ა რ ა მ ი ძ ე, ა ლ. — „ტარიელი“. სტატიაში ავტორი მიმოიხილავს რუსთველოლოგიაში ტარიელის შესწავლის ცდებს გულაჯის, სუტნერის, ი. აბულაძის, აკაკი წერეთელის, ი. ჭავჭავაძის, კ. კეკელიძის, თ. ბეგიაშვილის, მ. კელენჯერიძის და სხვ. ნაშრომების მიხედვით. ავტორის დასკვნით ტარიელი სრულქმნილი ადამიანის და რაინდის საკაცობრიო სახეა.

ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, პ ა ვ ლ ე — „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“. სტატიაში ავტორი ავითარებს აზრს, რომ ქართული ლიტერატურა საშუალო საუკუნეებისა დაკავშირებულია, ერთის მხრით, ბიზანტიურ მწერლობასთან, ისევე როგორც ლიტერატურა აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანი ხალხებისა (სირიელები, სომხები, კოპტები, ქრისტიანი არაბები, ეგვიპტელები და სხვ.), მაგრამ საშუალო-საუკუნეებში საქართველოში ბრწყინვალე განვითარებას მიაღწია ორიგინალურმა საერო მხატვრულმა მწერლობამ. მიმოიხილავს ჩვენამდე მოღწეულ და არმოღწეულ ლიტერატურულ ძეგლებს.

2. კრებული „რუსთაველი სკოლაში“, თბილისი, 1937 წ. გამოყენებულია აქ მოთავსებული წერილები:

ა ბ უ ლ ა ძ ე, ი უ ს ტ ი ნ ე — „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია“. ავტორი იძლევა, მთავარი პრობლემების მიხედვით, რუსთველოლოგიის განვითარების ისტორიას—სიუჟეტის სადაურობას, პოემის ავტორის, ტექსტის დადგენის და პოემის რაობის საკითხებზე. სტატია გამოყენებულია მხოლოდ

რუსთაველოლოგიის ისტორიისათვის, თორემ ზოგიერთი დებულება ამ სტატიისა უკვე მოძველებულია.

გ ა გ უ ა, კ.—„ვეფხისტყაოსნის“ გმირები და მათი დახასიათება“. სტატიაში ავტორი ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მოქმედ პირს სათითაოდ და დაასკვნის, რომ ტარიელი, აფთანილი, ნესტანდარეჯანი, თინათინი უეჭველად ზოგადკაცობრიული ტიპებია, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ფაუსტი და სხვა მსოფლიო ტიპი.

დ ო ლ ა ქ ი ძ ე, შ ა ლ ვ ა — „ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან“. ავტორი ახასიათებს რუსთაველის მიერ ნახმარ პოეტურ ხერხებს (მეტაფორა, ეპითეტი, ჰიპერბოლა, შედარება, ალიტერაცია, მაჯამა და სხვ.), საილუსტრაციოდ მოჰყავს პოემიდან ამოღებული ადგილები.

რ უ ხ ა ძ ე, ტ რ.—„ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ალორძინების ხანის ლიტერატურაზე“. ავტორი ასახელებს ალორძინების ხანის თვითთულად ყველა ავტორს, ვინც იხსენიებს რუსთაველს ან განიკუდის მის გავლენას. მასალებზე დაყრდნობით ავტორი აღნიშნავს. თუ როგორ აფასებდნენ რუსთაველს და მის პოემას მე-17 — 18 საუკუნეებში.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მ ი ხ.—„შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“. ავტორი არკვევს „ვეფხისტყაოსნის“ და ხალხური „ტარიელიანის“ ურთიერთობის საკითხს და ასკვნის, რომ რუსთაველმა ხალხური ამბავი გადაამუშავა, გმირებს შორის არსებული ნათესაობრივი დამოკიდებულების შეცვლით.

ჰ. ბარამიძე, ალ.—წიგნი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ ტ. I, გამოცემულია ორჯერ. განოყენებულია უკანასკნელი გამოცემა. წიგნი მოცემულია ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა, გმირთა ურთიერთობისა და მათი სოფლმხედველობისა, გაშუქებულია შოთა რუსთაველის ეპოქა, ცნობები პოეტის ცხოვრებაზე, მისი მსოფლმხედველობა და სხვ.

4. გაწერელია, ა.—„ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“, თბილისი, 1938 წ. ავტორი არჩევს რუსთაველის პოეტიკის საკითხებს ენის. რიტმის და მეტაფორის თავისებურებას, მეტრს, შაირის აგებულებას და მისი ორი სახეობის მნიშვნელობას.

5. ინგოროწყვა, პავლე — „რუსთაველიანა“ I. „ვეფხისტყაოსნის“ თარიღი, შოთა რუსთაველის ვინაობა. თბილისი, 1926 წ. წიგნი შეიცავს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიას, საზოგადო მიმო-

ხილვას. პოემის თარიღს, პოეტის ვინაობას, ძიებანი რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენისათვის, შოთას იკონოგრაფია და სხვ.

6. ინგოროყვა, პავლე — შოთა რუსთაველი, ბიოგრაფიული ესკიზი, 1937 წ. დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემას. დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1938 წ.

7. იმედაშვილი, გაიოზ — „რუსთაველოლოგია“, ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა. თბილისი, 1941 წ.

წიგნში ანოტაციური სახით მიმოხილულია თითქმის მთელი რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, დალაგებული პერიოდების მიხედვით.

8. კეკელიძე, კონსტანტინე — წიგნი „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, ტ. II, მესამე გამოცემა, თბილისი, 1952 წ.

წიგნში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი, გარჩევა, ისტორიულ-კრიტიკული ცნობები, ავტორის მსოფლმხედველობა, განათლების სფერო, პოემის დაწერის თარიღი.

9. შვებრიძე, იოსებო — „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“, სტალინირი. 1954 წ. მეორე შეესებული გამოცემა.

ავტორი წინასიტყვაობაში არკვევს რუსთაველის შესახებ არსებული ლეგენდების მნიშვნელობას პოეტის ბიოგრაფიისათვის. წიგნს დართული აქვს კომენტარები თვითვე ლეგენდაზე. წიგნში დაბეჭდილია ქართული ლეგენდების რუსული თარგმანი.

10. „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. I, თბილისი, 1954 წ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა.

წიგნში სათანადო ადგილას გარჩეულია „ვეფხისტყაოსანი“. განხილულია საკითხები: ავტორი, პოემის სიუჟეტი, დაწერის თარიღი, პერსონაჟები, პოეტიკა, იდეურ-თემატიკური მოტივები, მხატვრული თავისებურებანი, პოემის საკაცობრიო მნიშვნელობა.

* * *

დასახელებული, ამ წერილისათვის გამოყენებული, ლიტერატურის გარდა, არსებობს უამრავი ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, რომელიც გამოადგება ლექტორს თავისი ლექციის შედგენის დროს. უპირველეს ყოვლისა, ლექციის დამუშავებისას საჭიროა ცოდნა თვით პოემის ტექსტისა. „ვეფხისტყაოსნის“ ძრავალი გამოცემიდან უფრო გამოსადეგია საიუბილეო გამოცემა და მასზე დამყარებული შემდგომი გამოცემები.

ვეფხისტყაოსნის ქართული გამოცემები

ძველ ქართულ ლიტერატურაში არც ერთ ნაწარმოებს არ დაუმსახურებია იმდენი ყურადღება, რამდენიც დაიმსახურა „ვეფხისტყაოსანმა“. ეს დიდებული პოემა დღიდან მისი დაწერისა შემთვრამეტე საუკუნემდე მხოლოდ ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. მრავალმა ისტორიულმა ქართველმა, განსაკუთრებით იმ შემოსევებმა და აოხრებებმა, რომლებიც თავს დაატყდა საქართველოს ეგრეთწოდებულ მონგოლთა ბატონობის პერიოდში (13—15 საუკ.) ბევრი საყურადღებო ნაწარმოები (თარგმნილი თუ ორიგინალური) მოსპო. ნაწარმოებთა მოსპობით დავიწყებამს მიეცა ბევრი ღირსშესანიშნავი მწერალი, რომელიც ქართულ ლიტერატურას სათანადოდ დაამშვენებდა.

რუსთაველმა ამ ქართველს გაუძლო. თვით პოეტი პირდაპირ კანონმდებელი და მისაბაძი გახდა მომდევნო ქართულ პოეზიაში, ხოლო პოემა წარმოუდგენელი პოპულარობით სარგებლობდა საუკუნეთა განმავლობაში. პოემის ტექსტის ხელნაწერების სახით გავრცელებას ერთი ნაკლი სდევდა თან: დროთა მსვლელობაში ტექსტში თავი იჩინა სხვადასხვა ხასიათის ცვლილებამ. მკითხველთა და გადამწერთა მხრივ ტექსტი შეგნებულად თუ შეუგნებლად მახინჯდებოდა. ბევრი მათგანი თავისი გემოვნებისა და გავების მიხედვით აწორებდა პოემის ადგილებს, ზოგი უნატებდა სტროფებს, ზოგი აკლებდა, ზოგი აგრძელებდა პოემის ამბავს და ახალ თავებით და ეპიზოდებით ავსებდა პოემას. ასე გაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა მოკულობის ნუსხა. მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება პოემის ტექსტის დადგენისათვის კრიტიკული მუშაობა (პოემის პირვანდელი ტექსტის აღდგენის ცდა) და მისი სტამბური წესით დაბეჭდვა.

1. ვახტანგ VI გამოცემა, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა პირველ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა 1712 წელს, მეფე ვახტანგ VI მეოხებით. ეს გამოცემა შედგება 1587 სტროფისაგან. შემდეგ დამატებულია ორი სტროფი, სადაც გადმოცემულია ცნობა

ამ წიგნის დაბეჭდვისა და მისი შინაშენლობის შესახებ. შემდეგ მოსდევს ორ გვერდზე ვახტანგის მიმართვა მკითხველებისადმი გამოცემის მიზნისა და შემადგენლობის შესახებ. ამის შემდეგ „თარგმანი“, ანუ განმარტებანი ტექსტისა, სადაც ვახტანგი არჩევს თითოეული სტროფის შინაარსს, განმარტავს გაუგებარ სიტყვებს და სხვ. პოემის ყველა სტროფი არ არის განმარტებული. წიგნის თავში მოთავსებულია დასურათებული სახელმწიფო ლერბი და თვით ვახტანგის პორტრეტი.

2. მ. ბროსეს გამოცემა. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ 1841 წ. წიგნი დაიბეჭდა „სანკტ-პეტერბურღს, სტაჰბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა. შესრულებულია ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდი-შვილისა და დავით ჩუბინოვისათა“. გამოცემას დართული აქვს ვრცელი წინასიტყვაობა, დაწერილი აკადემიკოს ბროსეს მიერ, და გაუგებარ სიტყვების ლექსიკონი.

3. დ. ჩუბინიშვილის გამოცემა, პეტერბურღი, 1846 წ. დაბეჭდილია ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტი უცვლელად, მხოლოდ დართული აქვს გამოკვლევის სახით სტატია რუსულ ენაზე.

4. დ. ჩუბინიშვილის გამოცემა, პეტერბურღი, 1860 წ. ამ გამოცემას ბოლოში ლექსიკონის მაგიერ დართული აქვს სტროფების მიმდევრობის მიხედვით გაუგებარი გამოთქმების განმარტება.

5. მე-5 გამოცემად ცნობილია 1867 წ. თბილისში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ ლექსიკონით. წიგნზე არ არის აღნიშნული გამომცემელი.

6. არ. კალანდაძის გამოცემა, 1875 წ., თბილისი, წინასიტყვაობით და ლექსიკონით. წინასიტყვაობაში დახასიათებულია წინანდელი გამოცემები. ტექსტი დაბეჭდილია „ვახტანგისეული რედაქციის“ მიხედვით.

7. პეტრე წულუკიძის გამოცემა, 1883 წ. ქუთაისი.

8. გრ. ჩარკვიანის გამოც. 1887 წ. თბილისი.

9. ქართველიშვილის გამოცემა, 1888 წ. თბილისი. დიდტანიანი მდიდრული გამოცემაა, დასურათებულია ცნობილი მხატვრის ზიჩის მიერ. გამოცემას ხელმძღვანელობდა ილია ქავჭავაძის მეთაურობით კომისია გრ. ორბელიანის, რაფ. ერისთავის, აკ. წერეთლის, ივ. მაჩაბლის, ი. გოგებაშვილის, პ. უმიკაშვილის, ნ. დადიანის, ს. მესხის, თ. ჟორდანიას, გ. იოსელიანის, ი. მეუნარგიას და სხვ. შემადგენლობით.

10. კ. თავართქილაძის და ი. შიქელაიშვილის გამოც, 1890 წ. ოზურგეთი.

11. გრ. ჩარკვიანის გამოც. 1892 წ., თბილისი.

12. კ. თავართქილაძის გამოც. 1892 წ., ოზურგეთი.

13. „ 1895 წ., ახალსენაკი.

14. „ 1899 წ., ბათომი.

15. „ „ 1899 წ., ბათომი.

16. ვლ. ყიფიანის გამოც. 1899 წ., თბილისი.

17. გრ. ჩარკვიანის გამოც. 1900 წ., თბილისი.

18. კ. თავართქილაძის გამოც. 1903 წ., თბილისი.

19. „ 1810 წ., თბილისი, ილუსტრაციებით.

20. დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით (წ.-კით. გ. ს-ბის გამოც.) 1913 წ., თბილისი. წიგნს დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა. ცალკეული სიტყვების და ფრაზების განმარტებები და ვრცელი ლექსიკონი. დასურათებულია ზიჩის ილუსტრაციებით.

21. ს. კაკაბაძის რედაქტ. „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილი და ჩანართი, ილუსტრაციებით, 1913. წ., თბილისი. პოემის ტექსტი გამოცემულია მე-17 საუკ. ხელნაწერების მიხედვით. იგი ძლიერ გადიდებულია და თავდება ტარიელ-ნესტანდარეჯანისა და თინათინ-აეთანდილის დაბერებით და სიკვდილით. გამოცემას ის დადებითი მხარე აქვს, რომ მკითხველ საზოგადოებას გააცნო „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ ხელნაწერების ტექსტი, რაც აქამდის მარტო სპეციალისტ მკვლევარებისათვის იყო მისაწვდომი. გარდა ამისა ამ გამოცემაში მოთარგმნულია მე-17 საუკ. ხელნაწერების მინიატურები, დართული აქვს წინასიტყვაობა და რედაქტორის გამოკვლევა.

22. იუსტ. აბულაძის რედაქტ. 1914 წ., თბილისი. დასურათებული. დართული აქვს საძიებლები, ვარიანტები და ლექსიკონი უცხო სიტყვების ახსნით სპარსულ-არაბული სიტყვების მეშვეობით.

23. თ. მთაგრიშვილის გამოც. 1918 წ., ქუთაისი.

24. დ. კარიჭაშვილის რედაქტ., 1920 წ. თბილისი. პირველი გამოცემის გამეორებაა.

25. იუსტ. აბულაძის რედაქტ. გამოც. II. 1926 წ., თბილისი.

26. ს. კაკაბაძის რედაქტ. გამოც. II, 1927 წ. თბილისი.

27. ს. კაკაბაძის რედაქტ. 1927 წ. თბილისი, ახალი გამოკვლევით და შოთას ორი პორტრეტით.

28. კონსტ. კიკინაძის რედაქტ. 1934 წ., თბილისი. დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა, შენიშვნები, რითმების ინდექსი, ვ.-ტყაოსნის სიმფონია, ბიბლიოგრაფია და ილუსტრაციები მხატვარ ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული.

29. ვეფხისტყაოსანი ვახტანგისებური გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937 წ. თბილისი.

30. „ვეფხისტყაოსანი“ საიუბილეო გამოცემის სახით, 1937 წ. თბილისი. დართული აქვს პ. ინგოროყვას ვრცელი შესავალი წერილი.

31. „ვეფხისტყაოსანი“ თბილ. სახ. უნივერსიტეტის გამოც. 1938 წ., თბილისი.

32. „ვეფხისტყაოსანი“, სახელგამი, 1941 წ. თბილისი.

33. „ვეფხისტყაოსანი“ გამოც. „საბჭოთა მწერალი“, 1949 წ. თბილისი.

34. „ვეფხისტყაოსანი“, 1951 წ. თბილისი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა. დასურათებულია. დართული აქვს სარედაქციო წერილი და ვრცელი ლექსიკონი.

35. „ვეფხისტყაოსანი“, 1951., თბილისი, სახელგამი.

36. პავლე ინგოროყვას რედაქტ. დართული აქვს რედაქტორის ვრცელი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის“.

ამათ გარდა არსებობს პატარა (ჯიბის) გამოცემები ილუსტრაციებით.

მეფხისტყაოსნის თარგმანები უცხო ენებზე

„მეფხისტყაოსნის“ შესწავლის ინტერესი არაჩვეულებრივ გაიზარდა საბჭოთა პერიოდში. ამ პოემით დაინტერესდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირში შემავალი ერები, არამედ ბურჟუაზიული ქვეყნების მცხოვრებნიც. საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ კულტურის დარგში ხელი შეუწყო რუსთაველის პოემას გამხდარიყო იგი მსოფლიო კულტურის საგანძურად. მართლაც, პოემამ გადალახა ქართული ეროვნული კულტურის ფარგლები და საკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოებად გადაიქცა. „მეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე გადათარგმნის მცირე ცდა მე-19 საუკუნეშიც არსებობდა. ამ მხრით აღსანიშნავია:

1. **მარი-ფელისტე ბროსეს** (1802 — 1880) მუშაობა „მეფხისტყაოსნის“ გარშემო. მან 1828—31 წლებში ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის ფურცლებზე მოათავსა წერილები ქართული ლიტერატურის შესახებ და, კერძოდ, „მეფხისტყაოსანზე“. მანვე გააკეთა ფრანგულ ენაზე პირველი პროზაული თარგმანი „მეფხისტყაოსნის“ დასაწყისის სტროფებისა, პირველი თავისა და მოკლე შინაარსი დანარჩენი თავებისა.

2. **კაზიმირ ლაფჩინსკის** ეკუთვნის „მეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანის ცდა პოლონურ ენაზე. ეს თარგმანი გამოქვეყნდა ვარშავაში 1863 წელს. დართული აქვს წინასიტყვაობა, სადაც მოცემულია ქართული ენის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რუსთაველის ტრადიციული ბიოგრაფია, პოემისა და იმ დროს არსებულ გამოცემათა (ვახტანგისა და ბროსესი) შეფასება.

3. **არტურ ლაისტმა**—გერმანელმა მწერალმა, ილია ქავჭავაძის ცნობილმა მეგობარმა, მე-19 საუკუნის მიწურულში ლექსად თარგმნა „მეფხისტყაოსანი“ გერმანულ ენაზე. თარგმანი იწყება პირველი თავიდან. არ არის თარგმნილი პოემის პროლოგი. თარგმანი ზუსტი არ არის, დაიბეჭდა 1889 წ. დრეზდენ-ლაიპციგში.

4. **მარჯორი სკოტ უორდროპმა** 1891 წელს დაიწყო „მეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმნა ინგლისურ ენაზე და მუშაობდა

თითქმის 1909 წლამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ თარგმანს საბოლოო რედაქცია გაუყეთა, წინასიტყვაობა დაურთო და დაბეჭდა 1912 წელს მისმა ძმამ ოლივერ უორდროპმა.

5. ვიკარ ზელაშ—ბუდაპეშტის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა 1917 წელს გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი უნგრულ ენაზე. თარგმანს დართული აქვს მოკლე წინასიტყვაობა და დასურათებულია ზიჩის სურათებით.

„ვეფხისტყაოსნის სრული და თითქმის სრულყოფილი თარგმანები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაკეთდა რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ოსურ და სხვ. ენებზე. სახალხო დემოკრატიის ხალხთა ბევრ ენაზე და, მათ შორის, ჩინურზეც. ხელახლა გადათარგმნილია დასავლეთ-ევროპის ენებზე ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე, იტალიურზე და სხვ. რუსულ თარგმანებს შორის აღსანიშნავია:

1. რუხაველი შ.—„Носящий Барсову шкуру“. Грузинская поэма XII в. перев. К. Бальмонта, Москва, 1917 г. მხოლოდ რამოდენიმე თავია გადათარგმნილი და გამოცემული.

2. რუხაველი შ.—„Барсова кожа“ перев. С. Я. Шарти, Тифлис, 1927 г. მხოლოდ რამდენიმე თავია გადათარგმნილი.

3. რუხაველი შ.—„Витязь в тигровой шкуре“, пер. К. Бальмонта. Akademia, M 1936 г.

4. რუხაველი, შ.—„Витязь в тигровой шкуре“ пер. Г. Цагарели, под. ред. Эльснера. М. 1937 г.

5. რუხაველი შ.—„Витязь в тигровой шкуре“ пер. Петренко при участии и под ред. К. Чичинадзе. М. 1939 г.

6. რუხაველი, შ.—„Витязь в тигровой шкуре“ пер. Ш. Нуцубидзе. М. 1941 г.

7. რუხაველი, შ.—„Витязь в тигровой шкуре“ пер. с груз. для юношества, обработанная Н. Заболоцим. Тбилиси, 1949 г.